

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №44

დ. ლენტეხი.

12.11.2010.წ.

ლენტეხის მუნიციპალიტეტის № 1 საჯარო სკოლასთან არსებული ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლ „ცერულასათვის“ ქ. ბათუმში რესპუბლიკურ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ტრანსპორტისათვის 300 ლიტრა (დიზელის) საწვავის გამოყოფის შესახებ

---

2010 წლის 6 – ნოემბერს ქ. ბათუმში ჩატარდა რესპუბლიკური კონკურსი „ჩემი ხატია სამშობლო“. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ლენტეხის მუნიციპალიტეტიდან მიწვეული იყო ლენტეხის №1 საჯარო სკოლის ბავშვთა ანსამბლი „ცერულა“. ანსამბლის ხელმძღვანელი ითხოვს ტრანსპორტისათვის საწვავით დახმარებას.

გამომდინარე აქედან ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. დაკმაყოფილდეს ლენტეხის №1 საჯარო სკოლასთან არსებული ანსამბლ „ცერულას“ ხელმძღვანელის რ. ბენდელიანის მოთხოვნა ქ. ბათუმში ანსამბლის ტრანსპორტირებისათვის 300 ლიტრა დიზელის საწვავის გამოყოფის შესახებ.
2. განკარგულება აღსასრულებლად გადაეგზავნოს ლენტეხის მუნიციპალიტეტის გამგებელს.
3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

ლენტეხის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე:

/ვ. ქურასბედიანი/